საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1031/01
04/02/2022

1031-01-2-202202041352

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების
უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგის“ დირექტორს
ბატონ ვახტანგ წერეთელს
მის: ქ. თბილისი, ლარსის შეს. №5, ბინა №29
ელ. ფოსტა: vakhotsereteli@gmail.com

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 19 ნოემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N20866 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში არსებული სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (მათ შორის წარმადობის გაზრდა) და გაცნობებთ შემდეგს:

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” თანახმად, სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სამინისტროს 2021 წლის 24 აგვისტოს N41 სკოპინგის დასკვნით მოთხოვილი ინფორმაცია, კერძოდ ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების ტრანსპორტირების სქემა, ასევე ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „შემოზღუდვის შიდა მოცულობა აღემატება რეზერვუარის ტევადობაზე ნაკლები, რაც რეზერვუარის ავარიული დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების ტერიტორიაზე გავრცელების შეჩერებას.“ აღნიშნული წინადადება გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თავში 6.5 (ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე) აღნიშნულია, რომ „ინსინერატორის საწარმოს სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩაერთვება ≈ 18,5 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო ორმოში, საიდანაც ამოღებული ნარჩენი გადაეცემა გამწმენდ ნაგებობას.“ გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის თავში 8 (წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები) მითითებულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური და გაწმენდილი სამრეწველო ნახმარი წყლების

შეგროვებისთვის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ბეტონის ჰერმეტული ორმო, რომლის მოცულობა შეადგენს 8,27*2,25*2,0(h)≈37,22 $м^3$-ს. ორმოს გაწმენდა მოხდება პერიოდულად სპეც. ავტომობილის გამოყენებით, ხოლო ჩამდინარე წყლების ჩაშვება წინასწარ შეთანხმებული ტექნიკური პირობების გათვალისწინებით გადაეცემა გამწმენდ ნაგებობას". ზემოაღნიშნულ თავებში მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით განმარტებას, კერძოდ თუ აღნიშნული საასენიზაციო და ბეტონის ჰერმეტული ორმო წარმოადგენს ერთი და იმავე ნაგებობას, დაზუსტებას საჭიროებს მისი პარამეტრები (მოცულობა). ამასთან, განმარტებას საჭიროებს ზემოაღნიშნულ გამწმენდ ნაგებობაში მოიაზრება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული გამწმენდი მოწყობილობა თუ შესაბამისი ნებართვის მქონე გამწმენდი ნაგებობა;

- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდ მოწყობილობაში/ნაგებობაში რა სახის ჩამდინარე წყლის გაწმენდა არის დაგეგმილი, ასევე გაწმენდილი წყლის მართვის საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცრის (ფერფლის) საპროექტო ტერიტორიაზე დროებით განთავსების საკითხი, კერძოდ განთავსების პირობები და დაგროვების მაქსიმალური რაოდენობა, მათ შორის რა პერიოდულობით მოხდება ნაცრისთვის (ფერფლის) ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება და მისი ტერიტორიიდან გატანა.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე